საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1156 2024 წლის 20 აგვისტო ქ. თბილისი

ზურაბ პატარაძის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ წინადადების საქართველოს პრეზიდენტისთვის წარდგენისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 19 დეკემბრის №2290 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

1. საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ღ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წარედგინოს საქართველოს პრეზიდენტს წინადადება 2025 წლის პირველი იანვრიდან ზურაბ პატარაძის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზურაბ პატარაძის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ წინადადების საქართველოს

პრეზიდენტისთვის წარდგენისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 22 ივნისის №1176 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 19 დეკემბრის №2290 განკარგულება.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე